რევაზ გოგნიაშვილი

დირიჟორი, კომპოზიტორი, პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს“ ავტორი რევაზ გოგნიაშვილი დაიბადა 1893 წლის 26 ოქტომბერს სოფელ ქვემო ხოდაშენში. პირველდაწყებითი განათლება თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო, სადაც პედაგოგი ტერ-დავიდოვი ასწავლიდა, რომელმაც ყურადღება მიაქცია მის მუსიკალურ მონაცემებს და ნიჭიერი მოსწავლე კონსერვატორიაში ჩასაბარებლად მოამზადა.

1910 წელს რევაზ გოგნიაშვილმა სწავლა პარიზის კონსერვატორიაში გააგრძელა, რომელიც 1913 წელს დაამთავრა საკომპოზიტორო განხრით. მისი პედაგოგები იყვნენ იმ დროისთვის ცნობილი მუსიკოსები: პენიო, გრავარე და ივადონი. იგი რამდენიმე ხნით პარიზში დარჩა და ორკესტრების დირიჟორად დაიწყო მუშაობა.

პარიზშივე, 1910 წელს გამოიცა ახალგაზრდა კომპოზიტორის საფორტეპიანო ნაწარმოებების კრებული „Ara-besques“ . სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1914 წელს დაიწყო მუშაობა ოპერა „ქრისტინეზე“. ოპერისთვის ლიბრეტო ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით კომპოზიტორმა თავადვე შექმნა. ლექსები პოეტმა ელ. სტასენკომ დაწერა, ხოლო ქართულად ვალერიან გუნიამ თარგმნა.

ოპერა „ქრისტინე“ პირველად ქართველ მომღერალთა კავშირის“ თაოსნობით აჟღერდა „ქართული კლუბის“ სცენაზე 1918 წლის 2 ივნისს. ოპერას დირიჟორობდა ნიკო ქართველიშვილი, ხოლო რეჟისორული გადაწყვეტა კოტე ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა. იასონის არიას კი იმ დროისთვის უკვე წარმატებული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა.

ამავე წელს ოპერა „ქრისტინე“ ხელმეორედ დაიდგა ოპერის თეატრის სცენაზე, რომლის რეჟისორი ამჯერად ალექსანდრე წუწუნავა იყო.

სამწუხაროდ, ოპერას დიდი დაბრკოლებები ხვდა წილად და რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ თბილისის ოპერის თეატრის გამგეობის გადაწყვეტილებით საბოლოოდ მოიხსნა რეპერტუარიდან.

სავალალო ფაქტია ისიც, რომ ოპერა „ქრისტინე“ პირველი ქართული საოპერო ნაწარმოებია და მას შესაბამისი აღიარება არ ხვდა წილად. პარტიტურა, რომელიც ყველასთვის დაკარგულად და ზოგისთვის ხელოვნურად მივიწყებულად მიიჩნეოდა, ხელოვნების სასახლის (თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის) ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდშია დაცული.

მოგვიანებით, კომპოზიტორმა შექმნა მეორე ოპერა „ჯადოსანი“ (სხვა ვერსიით, „კუდიანი“), რომელსაც სიმფონიური ორკესტრი პარტიებად ასრულებდა.

რევაზ გოგნიაშვილის შემდგომი საქმიანობა ყველაზე ნაყოფიერი დრამატული

თეატრის ჟანრში აღმოჩნდა. მიუხედავად კომპოზიტორის პირველი წარუმატებლობისა, იგი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისისა თუ რეგიონების თეატრებთან.

1925 წელს რევაზ გოგნიაშვილი თბილისში დაარსებული პირველი სატირის თეატ-რის კომპოზიტორი გახდა, რომლის სათავეებშიც თეატრის ხელმძღვანელი გრიგოლ ბუხნიკაშვილი, რეჟისორი შოთა მანაგაძე და მხატვარი დავით კაკაბაძე გვევლინებოდა. თეატრს დიდხანს არ უარსებია. დასის წევრთა უმეტესობა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მათ შორის რევაზ გოგნიაშვილმაც 1927 წელს რეპრესირებულთა ბედი გაიზიარა.

1930-იან წლებში კომპოზიტორი თელავის მუსიკალური სკოლის დირექტორი იყო. სხვადასხვა წლებში მუშაობდა პედაგოგად ქუთაისის, გორისა და თბილისის მუსიკალურ სასწავლებლებში. აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებთან, აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთისა და თელავის დრამატულ თეატრებთან.

კომპოზიტორმა ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრში პროფესიონალური მუსიკოსებისაგან დააარსა ორკესტრი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში თავად ხელმძღვანელობდა. რევაზ გოგნიაშვილს გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი სპექტაკლი. სიცოცხლის ბოლოს მუშაობდა ოპერა „გიორგი სააკაძეზე“.

ხელოვნების სასახლის (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის) ფონდებში დაცულია მნიშვნელოვანი მასალა რევაზ გოგნიაშვილის შესახებ, რაც მუსიკათმცოდნეებისა და ქართული მუსიკის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს.

რევაზ გოგნიაშვილი 1967 წლის 20 მარტს გარდაიცვალა თბილისში.

რევაზ გოგნიაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. რევაზ დიმიტრის ძე გოგნიაშვილის ავტობიოგრაფია.
   1944 წ. 25 სექტემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

2. რ. გოგნიაშვილის განცხადება ოპერის თეატრის დირექციისადმი, თეატრში მუსიკალურ სცენარისტად მიღების შესახებ.
   1921 წ. 30 ივლისი. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. სახელმწიფო ოპერის თეატრის ბრძანება 1921 წლის 1 აგვისტოდან რევაზ გოგნიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.
   1921 წ. აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგე – პ. დადვაძე, საქმის მწარმოებელი – თეთრაძე. 1 გვ.

4. რ. გოგნიაშვილის თხოვნა სამუსიკო სექციის გამგისადმი, ოპერა „ქრისტინეს“ დადგმისთვის ოპერის თეატრის დროებით დათმობის შესახებ.
   1921 წ. 27 ოქტომბერი. ხელნაწერი. ერთვის სამუსიკო სექციის გამგის მ. ბალანჩივაძისა და კოლეგიის გამგის გ. საყვარელიძის რეზოლუცია. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

5. სათეატრო სექციის გამგის – ალ. ახმეტელისა და ხელოვნების კომიტეტის გამგის ო. ჯიბლაძის განცხადება ოპერის თეატრის გამგის პ. დადვაძისადმი, რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ ოპერის თეატრში დადგმის შესახებ.
   1921 წ. 26 ოქტომბრი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ სათეატრო სექციის გამგე – ალ. ახმეტელი, ხელოვნების კომიტეტის გამგე – ო. ჯიბლაძე. 1 გვ.

6. ამონაწერი მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმიდან 1921 წლის 5 დეკემბერს ოპერა „ქრისტინეს“ სახელმწიფო ოპერის თეატრის რეპერტუარში შეტანის შესახებ.
   1921 წ. 5 დეკემბერი. ნაბეჭდი. სხდომის წევრები: გრ. რობაქიძე, გ. რცხილაძე, ი. ნიკოლაძე, ალ. წუწუნავა, გ. გრინევსკი, გ. საყვარელიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ბალანჩივაძე, შ. აფხაიძე. 2 გვ. 2 ეგზ.

7. ამონაწერი მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომის ოქმიდან 1921 წლის 5 დეკემბერს ოპერა „ქრისტინეს“ ოპერის თეატრის რეპერტუარში შეტანის შესახებ.
   1921 წ. 5, 12 დეკემბერი. ნაბეჭდი. ერთვის მთავარი სახელოვნო კომიტეტის რეზოლუცია. სხდომის წევრები: გრ. რობაქიძე, გ. რცხილაძე, ი. ნიკოლაძე, ალ. წუწუნვა, გ. გრინევსკი, გ. საყვარელიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ბალანჩივძე, შ. აფხაიძე. ხელს აწერს მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივანი შ. აფხაიძე. 2 გვ.

8. სამუსიკო სექციის გამგის მ. ბალანჩივაძისა და მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის შ. აფხაიძის განცხადება ოპერის თეატრის გამგის პ. დადვაძისადმი, მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომიდნ ამონაწერის გაგზავნის შესახებ.
1921 წ. 6 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სამუსიკო სექციის გამგე – მ. ბალანჩივაძე, მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივანი შ. აფხაიძე. მელანი. 1 გვ.

9. სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგის პ. დადვაძის განცხადება მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარისადმი, ოპერა „ქრისტინეს“ თეატრში დადგმის შესახებ.
1921 წ. 6 დეკემბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.

10. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის შ. აფხაიძის განცხადება სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგისადმი, რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ რეპერტუარიდან მოხსნის შესახებ.
1921 წ. 12 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივანი შ. აფხაიძე. მელანი. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

11. რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. პარტიტურა.
1918 წ. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 192 გვ.

12. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. სცენარი. მეოთხე მოქმედება. მიკიტნის როლი უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 6 გვ.

13. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“. სცენარი. პირველი მოქმედება. მაიას როლი. უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

14. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“. პარტიტურა.
1919 წ. 29 ნოემბერი. ავტოგრაფი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 209 გვ.

15. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“ (ფრაგმენტები I, II და III მოქმედებებიდან).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 123 გვ.

16. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“ (სიმებიანი ინსტრუმენტების საორკესტრო პარ-ტიები).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 135 გვ.

17. რ. გოგნიშვილის ოპერა „ჯადოსანი“ (ჩასაბერი ინსტრუმენტების საორკესტრო პარტიები).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 105 გვ.

18. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ჯადოსანი“ (საორკესტრო პარტიები).
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 11 გვ.

19. რ. გოგნიაშვილის ხელნაწერი ნოტები: რომანსი, „ნანა“.
უთარიღო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 11 გვ.

20. რ. გოგნიაშვილის ხელნაწერი ნოტები: ქართული ცეკვა, სომხური ცეკვა, რუსული ცეკვა.
უთარიღო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 11 გვ.

პროგრამა

21. რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ პროგრამა.
უთარიღო. ფოტოასლი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.